

ქ. _____

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება : სს "სილქნეტის" ახალი შეთავაზება ("სრული სატელეკომუნიკაციო სერვისი")

აქციის პირობები:

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "შეთავაზება") "სილქნეტის" აბონენტები, შეძლებენ ისარგებლონ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრული პაკეტით - "სილქნეტის" მომსახურებებთან ერთად "მობიტელის" მობილური სატელეფონო ქსელის მომსახურებით, სპეციალურ ფასად.
2. "შეთავაზება" ვრცელდება შემდეგი მომსახურებების /კომბინაცი(ებ)ის / სააბონენტო პაკეტების მიმღებ აბონენტებსა და მომსახურების მიღების მსურველ პირებზე:
 - 2.1. "სილქნეტის" ცალკე მდგომ ოპტიკურ ინტერნეტ ან სილქ ტვ მომსახურებაზე, ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე (ინტერნეტი და სილქ ტვ), ოპტიკური/DSL ს1 სამმაგ შეთავაზებაზე, ოპტიკურ/DSL სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე, ასევე ერთი სააბონენტო ანგარიშის ნომერზე არსებული მომსახურებ(ებ)ის ნებისმიერ კომბინაციაზე (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს ან/და ოპტიკურ სილქ ტვ-ს) DSL ინტერნეტ მომსახურებაზე, ასევე ერთ სააბონენტო ანგარიშზე არსებული მომსახურებ(ებ)ის ნებისმიერ კომბინაციაზე (რომელიც მოიცავს DSL ინტერნეტ მომსახურებას);
 - 2.2. "სილქნეტის" ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების ყველა პაკეტზე, სილქფონის ყველა პაკეტზე (მხოლოდ ინტერნეტ ან/და სილქ ტვ მომსახურებასთან კომბინაციაში), ოპტიკური სპეციალური შეთავაზებ(ებ)ის ყველა პაკეტზე, DREAM პაკეტზე, DSL ინტერნეტის ყველა პაკეტზე, DSL სპეციალური შეთავაზებ(ებ)ის ყველა პაკეტზე.
3. "შეთავაზების" რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება **2017 წლის 25 აპრილიდან - 2018 წლის 14 აპრილის ჩათვლით;**
4. "შეთავაზების" პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება: **2018 წლის 25 აპრილის ჩათვლით;**
5. "შეთავაზების" ფარგლებში "მობიტელის" შეთავაზების **სატარიფო გეგმა** განისაზღვრება **N1 ცხრილის შესაბამისად;**
6. "შეთავაზების" მოქმედების ვადა განისაზღვრება **2017 წლის 25 აპრილიდან - 12 კალენდარული თვის ვადით;**
7. "შეთავაზების" ფარგლებში აბონენტები, რომლებსაც გააქტიურებული აქვთ ან გააქტიურებენ მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებს, მომსახურებ(ებ)ს/სპეციალურ შეთავაზებებს, ან "სილქნეტის" მომსახურებ(ებ)აზე სხვა მომსახურებ(ებ)ის დამატებით გააქტიურებენ მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებ(ებ)ს/სპეციალურ შეთავაზებებს, ისარგებლებენ წინამდებარე დანართის N1 ცხრილში ("მობიტელის პაკეტი") მითითებული "უღირსი შიდა ქსელი" სააბონენტო პაკეტით;
8. არ არის შეზღუდული " შეთავაზებაში" ჩასართავი "მობიტელის" მობილური სატელეფონო ნომრების რაოდენობა;
9. "შეთავაზების" ფარგლებში აბონენტს შეუძლია "მობიტელის" სატელეფონო ნომრების დამატება/გაუქმება/ცვლილება;
10. "შეთავაზებაში" ჩართული სატელეფონო ნომრის შეთავაზებიდან გასვლის შემთხვევაში, არ არის შეზღუდული ხელმეორედ იმავე სატელეფონო ნომრის " შეთავაზებაში" ჩართვა - იგივე ან სხვა სააბონენტო ანგარიშზე;
11. აბონენტს უფლება აქვს უარი თქვას "შეთავაზებაზე" ("მობიტელის" მობილური სატელეფონო მომსახურება) ნებისმიერ დროს;
12. "შეთავაზების" პირობების გაუქმების ან აბონენტის მიერ "შეთავაზების" პირობებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, ან "შეთავაზების" მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აბონენტს შეუწარმუნდება "შეთავაზების" ფარგლებში არსებული "სილქნეტის" მომსახურებები მათი სტანდარტული ღირებულებით, ხოლო "მობიტელის" ნომერზე/ნომრებზე აღარ გაუქტიურდება წინამდებარე "შეთავაზების" ფარგლებში გასააქტიურებელი სააბონენტო პაკეტები. აბონენტი, "შეთავაზების" გაუქმებამდე გააქტიურებული "მობიტელის" მომსახურებას მიიღებს პაკეტის მოქმედების ვადის დასრულებამდე;

13. "სილქნეტის" აბონენტის (რომელიც "შეთავაზებაში" ჩართვამდე არ სარგებლობდა "სილქნეტის" მომსახურებებით) შეთავაზებაზე რეგისტრაციის შემდეგ, "სილქნეტის" მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციამდე პერიოდში "შეთავაზების" ფარგლებში "სილქნეტის" სააბონენტო ანგარიშზე რეგისტრირებული "მობიტელის" ნომერი ვერ დარეგისტრირდება "სილქნეტის" სხვა ანგარიშზე;
14. "შეთავაზების" რეგისტრაციის შემდგომ, მაგრამ "შეთავაზების" გააქტიურებამდე პერიოდში შესაძლებელია სატელეფონო ნომრის ცვლილება;
15. იმ შემთხვევაში, თუ "მობიტელის" სააბონენტო პაკეტის აქტივაციისას დასარიცხი თანხა იწვევს "სილქნეტის" მომსახურებებზე დავალიანების ლიმიტის გადაჭარბებას, სააბონენტო პაკეტის აქტივაცია არ შეიზღუდება, მაგრამ მოხდება ლიმიტის ამოწურვის გამო "სილქნეტის" მომსახურების სტანდარტულად შეზღუდვა;
16. "შეთავაზების" ჩართვის შემთხვევაში, აბონენტს შეთავაზების ფარგლებში გააქტიურებულ სააბონენტო პაკეტებთან ერთად შეუძლია შეინარჩუნოს "მობიტელის" სტანდარტული სატარიფო გეგმა, სტანდარტული სატარიფო გეგმის ანგარიშსწორებას აბონენტი ახდენს მობიტელთან (სტანდარტული პირობებით);

17. ანგარიშსწორება:

17.1. "შეთავაზებაში" ჩართვის შემდეგ მომსახურებ(ებ)ის ღირებულების დარიცხვა ხორციელდება შემდეგნაირად: „სილქნეტის“ მომსახურების ღირებულების დარიცხვა მოხდება „სილქნეტის“ მომსახურებ(ებ)ის სტანდარტული პირობებით. „მობიტელის“ სააბონენტო პაკეტის ღირებულების დარიცხვა „სილქნეტის“ მომსახურებ(ებ)ის ანგარიშის ნომერზე მოხდება სრულად, შეთავაზებაში ჩართვისთანავე, ხოლო შემდგომში - სააბონენტო პაკეტის ავტომატურად აქტივაციისთანავე, ყოველი დამატებითი ნომრის გააქტიურებისას, დამატებითი ნომრის გააქტიურებისთანავე აბონენტს დაერიცხება შეთავაზების ფარგლებში განსაზღვრული „მობიტელის“ სააბონენტო პაკეტის ღირებულება სრულად.

17.2. "შეთავაზების" მოქმედების პერიოდში, დავალიანების გადაუხდელობის გამო „სილქნეტის“ მომსახურებ(ებ)ის შეზღუდვის შემთხვევაში აბონენტი „მობიტელის“ მომსახურებით ისარგებლებს გააქტიურებული პაკეტის ვადის ამოწურვამდე. „მობიტელის“ თითოეულ ნომერზე პაკეტის ვადის ამოწურვისას, თუ "სილქნეტის" მომსახურებ(ებ)ი ისევ შეზღუდულია, 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეთავაზების ფარგლებში განსაზღვრული "მობიტელის" სააბონენტო პაკეტის აქტივაცია აღარ განხორციელდება; აბონენტი ვეღარ ისარგებლებს "შეთავაზებით"; "შეთავაზებით" სარგებლობის სურვილის შემთხვევაში უნდა მოხდეს "შეთავაზებაზე" ხელახალი რეგისტრაცია; ხოლო თუ პაკეტის აქტივაციის თარიღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში მოხდება დავალიანების გადახდა, ავტომატურად გააქტიურდება შესაბამის ნომერზე "მობიტელის" პაკეტი;

18. **მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერება:** "აქციის" მოქმედების პერიოდში არ არის შეზღუდული მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერების შესაძლებლობა. "სილქნეტის" მომსახურებ(ებ)ის დროებით შეჩერება მოხდება სტანდარტული პირობების შესაბამისად. „სილქნეტის“ მომსახურებ(ებ)ის შეჩერება არ გამოიწვევს „მობიტელის“ მომსახურების მიწოდების შეჩერებას. იმ შემთხვევაში თუ „სილქნეტის“ მომსახურებ(ებ)ი შეიზღუდება დროებით შეჩერების ღირებულების გადაუხდელობის გამო, აბონენტი „მობიტელის“ მომსახურებით ისარგებლებს გააქტიურებული პაკეტის ვადის ამოწურვამდე. „მობიტელის“ თითოეულ ნომერზე პაკეტის ვადის ამოწურვისას, თუ სილქნეტის მომსახურებ(ებ)ი ისევ შეზღუდულია, 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში შეთავაზების ფარგლებში განსაზღვრული „მობიტელის“ სააბონენტო პაკეტის აქტივაცია აღარ განხორციელდება; აბონენტი ვეღარ ისარგებლებს "შეთავაზებით"; "შეთავაზებით" სარგებლობის სურვილის შემთხვევაში უნდა მოხდეს "შეთავაზებაზე" ხელახალი რეგისტრაცია; ხოლო თუ პაკეტის აქტივაციის თარიღიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში მოხდება დავალიანების გადახდა, ავტომატურად გააქტიურდება შესაბამის ნომერზე ჩართული „მობიტელის“ სააბონენტო პაკეტი;

19. "შეთავაზებით" სარგებლობის შეზღუდვები:

19.1. "სილქნეტის" მომსახურებების მიმღები აბონენტის სააბონენტო ანგარიში "შეთავაზებაზე" რეგისტრაციისას უნდა იყოს აქტიური; "შეთავაზების" ჩართვა შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ მომსახურება დროებით არის შეჩერებული; "შეთავაზებაში" ჩართულ/ჩასართავ სატელეფონო ნომერზე სააბონენტო პაკეტის გააქტიურებისას მოწმდება "მობიტელის" სატელეფონო ნომრის აქტიურობის სტატუსი. თუ სატელეფონო ნომერი არ არის თავსებადი "შეთავაზებასთან", აბონენტმა ხელმეორედ უნდა დარეგისტრირდეს "შეთავაზებაზე" რეგისტრაციის მიზნით;

19.2. "სილქნეტის" მომსახურებების მიმღები აბონენტის "შეთავაზებაზე" რეგისტრაციისას, თუ აბონენტის მიერ "შეთავაზებაში" ჩასართავი "მობიტელის" სატელეფონო ნომრ(ებ)ი არ არის თავსებადი "შეთავაზებასთან", იმისათვის რომ აბონენტი ჩაერთოს "შეთავაზებაში" 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სატელეფონო ნომერი უნდა გახდეს "შეთავაზების" პირობებთან თავსებადი (აბონენტმა სატელეფონო ნომრის "შეთავაზების" პირობებთან თავსებადობის მიზნით უნდა მიმართოს "მობიტელს");

19.3. აბონენტი, რომელიც სარგებლობს "შეთავაზებით" და სააბონენტო პაკეტის აქტივაციის მომენტისათვის "მობიტელის" სატელეფონო ნომერი არ არის თავსებადი "შეთავაზებასთან", 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში სატელეფონო ნომერი უნდა გახდეს "შეთავაზების" პირობებთან თავსებადი (აბონენტმა სატელეფონო ნომრის "შეთავაზების" პირობებთან თავსებადობის მიზნით უნდა მიმართოს "მობიტელს");

20. "შეთავაზების" ჩართული მომსახურებ(ებ)ის ცვლილება:

20.1. აბონენტის მხრიდან "მობიტელის" სატელეფონო ნომრის ცვლილება ხდება "შეთავაზებიდან" ძველი სატელეფონო ნომრის გასვლით და ახლის ჩართვით. ახალ სატელეფონო ნომერზე სააბონენტო პაკეტის გააქტიურება მოხდება "შეთავაზებაში" ჩართვისთანავე;

20.2. "მობიტელის" ერთი სატელეფონო ნომერი უნდა ჩაერთოს "სილქნეტის" მხოლოდ ერთ სააბონენტო ანგარიშზე. "სილქნეტის" ანგარიშთან სატელეფონო ნომრის ბმის გაუქმება მოხდება "სილქნეტის" აბონენტის მიერ ცხელ ხაზზე კოდური სიტყვით იდენტიფიცირების საშუალებით ან "სილქნეტის" სერვის ცენტრში მისვლით; "შეთავაზებაში" სატელეფონო ნომრის ჩართვა / "შეთავაზებიდან" სატელეფონო ნომრის გაუქმება "სილქნეტის" აბონენტს შეუძლია სტანდარტული იდენტიფიკაციის გავლის შემდეგ, სატელეფონო ნომრის მფლობელის თანხმობის გარეშე. "შეთავაზებიდან" სატელეფონო ნომრის ამოღების შემთხვევაში აბონენტი ისარგებლებს სატელეფონო ნომერზე გააქტიურებული სააბონენტო პაკეტის ვადის ფარგლებში, ხოლო შემდეგი სააბონენტო პაკეტი აღარ გაუაქტიურდება. თუ "შეთავაზებიდან" სატელეფონო ნომრის გასვლის შემდეგ "სილქნეტის" სააბონენტო ანგარიშზე აღარ რჩება შეთავაზების ფარგლებში ჩართული "მობიტელის" არც ერთი სააბონენტო ნომერი, აბონენტს უწყდება "შეთავაზებით" სარგებლობის უფლება და დარიცხვა გაგრძელდება სტანდარტული წესით.

21. "შეთავაზების" მოქმედების პერიოდში, შეზღუდულია "შეთავაზების" ფარგლებში გააქტიურებული „მობიტელის“ სააბონენტო პაკეტის მოქმედების ვადის ამოწურვამდე იგივე პაკეტის ხელმოკრედ გააქტიურების შესაძლებლობა.

22. მისამართის შეცვლისას, "შეთავაზებაში" ჩართულ აბონენტს შეცვლამდე არსებულ მისამართზე გააქტიურებული "შეთავაზების" პირობებით ახალ მისამართზე ვერ ისარგებლებს;

23. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, "შეთავაზების" პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებები დარეგისტრირდება წინამდებარე "შეთავაზების" პირობებით.

24. იმისათვის, რომ შეცვლილ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს "შეთავაზების" პირობებით, მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;

25. ტექნოლოგიის ცვლილებისას, "შეთავაზების" პირობებით მოსარგებლე აბონენტი, ტექნოლოგიის შეცვლამდე არსებულ ტექნოლოგიაზე გააქტიურებული "შეთავაზების" პირობებით, ახალ ტექნოლოგიაზე ვერ ისარგებლებს;

26. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, "შეთავაზების" პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებები დარეგისტრირდება წინამდებარე "შეთავაზების" პირობებით;

27. იმისათვის, რომ ახალ ტექნოლოგიაზე აბონენტმა ისარგებლოს "შეთავაზების" პირობებით, მომსახურებების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში;

28. "სილქნეტის" მომსახურების მესამე პირზე გადაფორმების შემთხვევაში, "შეთავაზება" უქმდება აბონენტის მოთხოვნის საფუძველზე.

ცხრილი N1

"სილქნეტის" ახალი შეთავაზების (სრული სატელეკომუნიკაციო სერვისი)
სატარიფო გეგმა
(ფასები მოცემულია ლარში და მოიცავს დღგ-ს)

"სილქნეტის" ახალი შეთავაზების (სრული სატელეკომუნიკაციო სერვისი)
სატარიფო გეგმა

"სილქნეტის" და "მობიტელის" ერთობლივი პროდუქტის განსაზღვრის
წესი ყველა კომბინაციისთვის: სილქნეტის ტარიფს ემატება აქციაში
ჩართული მობიტელის თითოეული ნომერზე გააქტიურებული პაკეტის
ღირებულება

"მობიტელის" პაკეტები	
პაკეტის აღწერილობა	პაკეტები
ბონუსები	ულიმიტო შიდა ქსელი
წუთი	ულიმიტო შიდა ქსელი
SMS	-
ინტერნეტი	-
ვადა	30 კალენდარული დღე
პაკეტის ღირებულება	1.5

შენიშვნა: _____

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____